ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ოქმი № 45

2010 წლის 1 ნოემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ბელა წიფურიას უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში;
2. მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გიგა ზედანიას უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში;
3. მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გიორგი მენაბდის უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში;
4. გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ მალხაზ მაყაშვილის უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში;
5. ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით თარხნიშვილის უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში;
6. ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გიორგი ბახტაძის უფლებამოსილების ცნობა აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში;
7. სპორტის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დარეჯან ქობელაშვილის წარდგინების განხილვა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ;

8. სპორტის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დარეჯან ქობელაშვილის წარდგინების განხილვა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შესახებ;
9. აკადემიური კონკურსის გამოცხადება შემდეგ თანამდებობებზე: ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუტის (0,5 შტატი) და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის (0,5 შტატი) სოციოლოგიისა და დემოგრაფიის მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის (0,5 შტატი) და სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის (0,5 შტატი) პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; კავკასიის კვლევის საერთაშორისო სკოლის პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის კულტურისა და რელიგიის მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის ფილოსოფიის მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; სოციალური კვლევების ლაბორატორიის სოციოლოგიის და დემოგრაფიის მიმართულებით - ორი ასისტენტპროფესორი; მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - ერთი ასოცირებული პროფესორი;
10. ფაკულტეტ საინჟინრო კოლეჯისათვის სახელის შეცვლა საინჟინრო ფაკულტეტის სახელით;
11. ვლადიმერ ახალაიას განცხადების განხილვა ემერიტუსის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით;
12. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების განხილვა;

13. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება;
14. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის „არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლის და ინტეგრაციის პროგრამის“ განხილვა და დამტკიცება;
15. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ოთხი სადოქტორო პროგრამის განხილვა და დამტკიცება (1. ეფედრონული” ენცეფალოპათია - მანგანუმური პარკინსონიზმი, მისი სამედიცინო და სოციალური ასპექტები, 2. თავის და სახის მიდამოს ტკივილი და მისი გავლენა ცხოვრების ხარისხსა და შემეცნებით- შფოთვით აშლილობაზე. 3. ღეროვანი უჯრედებისა და ოსტეოპლასტიკური მასალების კომბინირებული გამოყენება ყბა-სახის ტრავმული დაზიანების დროს. 4. პირის ღრუს ანთებითი დაავადებების მკურნალობა ძვლის ტვინის მეზენქიმიური ღეროვანი უჯრედებით);
16. 2011-2012 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა;
17. ბიზნესის ფაკულტეტზე დეკანის კონკურსის გამოცხადება;
18. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე ინფორმაციული კვლევების მიმართულებით ასისტენტ პროფესორის 3 საშტატო ერთეულზე და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით ასცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე ღია კონკურსის გამოცხადება;
19. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესში” ცვლილებების განხორციელების შესახებ საკითხის განხილვა და დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე;
4. გიორგი ბახტაძე;
5. დავით თარხნიშვილი;
6. მალხაზ მაყაშვილი;
7. გიორგი მენაბდე;
8. გიგა ზედანია;
9. ბელა წიფურია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და თხოვნით მიმართა აკადემიურ საბჭოს, ერთ საკითხად განეხილათ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი 6 საკითხი.

2010 წლის 1 ნოემბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ბელა წიფურიას, მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გიგა ზედანიას, მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გიორგი მენაბდის, გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ მალხაზ მაყაშვილის, ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გიორგი ბახტაძის უფლებამოსილება აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში ამ აკადემიური საბჭოს ვადით;
2. **დადგინდეს** - ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით თარხნიშვილის უფლებამოსილება აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში განისაზღვროს 6 თვის ვადით უნივერსიტეტის წესდების მე-7 მუხლის მე -7 პუნქტის მიხედვით.
3. **დადგინდეს** - გამოცხადდეს 2010 წლის 3 ნოემბრიდან ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტზე სპორტის კვლევების

მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე, საკონკურსო განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული.

4. დამტკიცდეს სპორტის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დარეჯან ქობელაშვილის მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;

5. დადგინდეს - გამოცხადდეს ღია კონკურსი შემდეგ თანამდებობებზე: სოციოლოგიისა და დემოგრაფიის მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის კულტურისა და რელიგიის მიმართულებით - ერთი სრული პროფესორი; **მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის ფილოსოფიის მიმართულებით** - ერთი სრული პროფესორი; სოციალური კვლევების ლაბორატორიის სოციოლოგიის და დემოგრაფიის მიმართულებით - ორი ასისტენტ-პროფესორი; მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით - ერთი ასოცირებული პროფესორი. საკონკურსო განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული.

6. **დადგინდეს** - გათვალისწინებულ იქნას ფაკულტეტ „საინჟინრო კოლეჯის“ ფაკულტეტის საბჭოსა და სტუდენტთა მოსაზრება, ფაკულტეტს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს საინჟინრო ფაკულტეტი.

7. **დამტკიცდეს** - უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუქტის მიხედვით, რადგან ვლადიმერ ახალაია არ არის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, უარი ეთქვას ემერიტუსის წოდების მინიჭებაზე.

8. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს. გაუქმდეს **„ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების“ 2006 წლის 12 დეკემბრის აკადემიური საბჭოს მე-7, 2008 წლის 24 აპრილის აკადემიური საბჭოს მე-19, *2008***

წლის 25 ნოემბრის აკადემიური საბჭოს №25-ე ოქმებით დამტკიცებული ყველა რედაქცია.

9. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის „არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესწავლის და ინტეგრაციის პროგრამა“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების გათვალისწინებით.
10. **დამტკიცდეს** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შენიშვნების გათვალისწინებით სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის ოთხი სადოქტორო პროგრამა (1. ”ეფედრონული” ენცეფალოპათია - მანგანუმური პარკინსონიზმი, მისი სამედიცინო და სოციალური ასპექტები, 2. თავის და სახის მიდამოს ტკივილი და მისი გავლენა ცხოვრების ხარისხსა და შემეცნებით-შფოთვით აშლილობაზე. 3. ღეროვანი უჯრედებისა და ოსტეოპლასტიკური მასალების კომბინირებული გამოყენება ყბა-სახის ტრავმული დაზიანების დროს. 4. პირის ღრუს ანთებითი დაავადებების მკურნალობა ძვლის ტვინის მეზენქიმიური ღეროვანი უჯრედებით).
11. **2011-2012 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვროს შემდეგნაირად: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე - 900 სტუდენტი, ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე - 900 სტუდენტი, სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე - 150 სტუდენტი, საინჟინრო ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე - 55 სტუდენტი, სპორტის ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე - 120 სტუდენტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესიულ პროგრამებზე - 223 სტუდენტი, აზერბაიჯანულენოვანთათვის ქართული ენის პროგრამაზე - 117 სტუდენტი, სომხურენოვანთათვის ქართული ენის პროგრამაზე -117 სტუდენტი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე - 800 სტუდენტი, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 100 სტუდენტი.**

12. დამტკიცდეს გამოცხადდეს ბიზნესის ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობაზე ღია კონკურსი 2010 წლის 4 ნოემბრიდან. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს: განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ; პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი, დოქტორის (ან დოქტორთან გათანაბრებული) სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი CV. საბუთების მიღება დაიწყება 2010 წლის 6 დეკემბრიდან და გაგრძელდება 2010 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.
13. **დამტკიცდეს - გამოცხადდეს ღია კონკურსი** სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე ინფორმაციული კვლევების მიმართულებით ასისტენტ პროფესორის 3 საშტატო ერთეულზე და პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით ასცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთულზე.
14. დადგინდეს შევიდეს ცვლილებები „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის“ მე-6 და მე-7 პუნქტში წარმოდგენილი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მაია თევზაძე